ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1627837

ნომერი: AR1270038

თარიღი : 02.12.2014

გაცემის თარიღი : 05.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივლიანე წულაია პ/ნ 37001007207
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 59

ორგანიზაცია:
- შპს „გრინ სითი“ კოდი: 205295090

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, თამარაშვილის ქუჩა N13, შპს „გრინ სითი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „გრინ სითი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.16.004.154, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014587566 24/11/2014წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი, ტოპოგრაფიული გეგმა, საპროექტო გენ–გეგმა, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, თამარაშვილის ქუჩა N13, შპს „გრინ სითი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს შპს „გრინ სითი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.10.16.004.154) საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge